საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1694

29/12/2021

ქ. თბილისი

,,მესტიის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-მესტია“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N 2-704 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N2-704 ბრძანებით გაიცა მესტიის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ „220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-მესტია“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ სკოპინგის დასკვნა N68 (16.07.2019წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მესტიის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-მესტია“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N2-704 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოის საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი